



## Press release



EUROEAST  
CULTURE

Eastern Partnership Culture Programme

book  
PLATFORM

### პროექტ „წიგნის პლატფორმის“ პრეზენტაცია

თბილისი

25 იანვარი

25 იანვარს წიგნის სექტორის წარმომადგენლები, მედია და ფართო აუდიტორია გაეცნობიან „წიგნის პლატფორმის“ ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სამომავლო გეგმებს. პრეზენტაცია გაიმართება 19:00 საათზე, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში.

ღონისძიებას გახსნიან: კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი საქართველოში ოლივერ რაისნერი. პრეზენტაციას წარუძღვება იანა გენოვა, „წიგნის პლატფორმის“ მენეჯერი „ნექსტ ფეიჯიდან“. ღონისძიების შემდეგ საგამოფენო დარბაზში გაიმართება მიღება.

პრეზენტაცია ორგანიზებულია „ნექსტ ფეიჯისა“ და „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ მიერ „საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან“ თანამშრომლობით.

*წიგნის პლატფორმა წარმოადგენს ორგანიზაცია „ნექსტ ფეიჯის“ პროექტს, რომელიც თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია (საქართველო), გამომცემლების ეროვნული ასოციაცია (სომხეთი), გამომცემელთა ფორუმი (უკრაინა). პროექტის მხარდამჭერია ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურული პროგრამა.*

*პროექტის იდეა აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურული პროგრამის ზოგად მიზანს შეესატყვისება. შესაბამისად, პროექტი ხელს უწყობს რეგიონის მდგრად განვითარებაში*

კულტურის როლის გაზრდას, აგრეთვე თანამშრომლობის გარღმავებას აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონებსა და ევროკავშირს შორის. პროექტის არსებობის ორნახევარი წლის მანძილზე სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში წიგნის სექტორი დახმარების ხელს მიიღებს იმ გამოწვევების დაძლევაში, რომლის წინაშეც დგას მწერლობა, საგამომცემლო და მთარგმნელობითი საქმიანობა.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ <http://www.bookplatform.org/ka/news/244-presentation-tbilisi-january.html>

ან დაუკავშირდით:

ქეთევან ჯაყელი

პროექტის ადგილობრივი მენეჯერი.

წიგნის გამომცემლთა და გამავრცელებელთა ასოციაცია.

ტელ: +995 570 101 601, +995 555 133068, 032 2 342390

EU დელეგაცია საქართველოში

თამრიკო მიქაძე

ელ - ფოსტა: tamriko.mikadze@ec.europa.eu



Delegation of the European Union to Georgia  
38, Nino Chkheidze, 0102 Tbilisi, Georgia  
Tel:(+995 32) 294 37 63 Fax:(+995 32) 294 37 68

**The European Commission is the EU's executive body.**

“The European Union is made up of 27 Member States who have decided to gradually link together their know-how, resources and destinies. Together, during a period of enlargement of 50 years, they have built a zone of stability, democracy and sustainable development whilst maintaining cultural diversity, tolerance and individual freedoms. The European Union is committed to sharing its achievements and its values with countries and peoples beyond its borders”.